ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო!

2014 წელი
16-30 ივნისი
№12 (9339)

პოლიეთი

გაზეთი გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

ფასი 40 თეთრი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

მუნიციპალიტეტის ამბები

სენაკელი შემსრულებლები ლონდონში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გაცვლითი პროექტის „ჩემი საქართველო აქ არის" ფარგლებში გამორჩეულად ლამაზი და გულთბილი შეხვედრა ჩატარდა ქეიმი სვანეთში - ლენტეხში, მიმდინარე წლის 9-10 ივნისს, რომელშიც მონაწილეობდნენ სენაკის მოსწავლეა-ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ყოლხი", საეხტრადო სიმღერის შემსრულებლები და სამუსიკო სკოლის ფოლკლორული ანსამბლი „მორდე" (ხელმძღვანელები: თემურ გუგენავა, გიორგი კორშია, სალომე ბერიშვილი და ლალი გოგია).

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სენაკიანა და ლენტეხის ქორეოგრაფიული ანსამბლები, მომღერლები. მაყურებელმა საოცარი სითბოთი მიიღო და მოიწონა მათი შესრულება. განსაკუთრებული ოვაციები გამოიწვია გიორგი ცირკვიძის მიერ საქართველოზე შესრულებულმა სიმღერამ . დასასრულს, ანსამბლ „ყოლხის " სახელით ლენტეხის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს სამახსოვრო სასუქარი გადაეცა. პროექტმა უმთავრესი მისია შეასრულა, რაც საქართველოს ერთიანი სულის გაძლიერებასა და ნორჩი შემსრულებლების დაახლოვება-დამეგობრებაში გამოიხატება.

კოოპერაციების განვითარებასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრა

10 ივნისს სენაკს ეწვია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშველაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და კოოპერატივის განვითარებით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრაზე მან ისაუბრა კოოპერატიული ბიზნეს მოდელის უპირატესობაზე. საქართველოში კოოპერატივებისა და ასოციაციების მარგეგულირებელ კანონმდებლობაზე, საქართველოს მთავრობის პოტენციურ სუბსიდიებზე, საგადასახადო სტიმულებზე, საკრედიტო და საგრანტო პროგრამებზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის ტექნიკური დეტალები, სახელმწიფოს მხრიდან კოოპერატივების ხელშეწყობისთვის დაგეგმილ შეღავათები და პროგრამები. სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრა საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი გია ხარგელია სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

საქართველოს მთავრობისა და გაეროს წარმომადგენელთა ვიზიტი სენაკში

12 ივნისს სენაკის მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ საქართველოს მთავრობისა და გაეროს წარმომადგენლები დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეწყობის პროგრამის პერზენტაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) და გაეროს განვითარების პროგრამა(UNDP). ფერმერთა საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი მოინახულეს და ინოვაციური, ეკოლოგიურად სუფთა სათბურები დაათვალიერეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ოთარ დანელიამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ

პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილმა. დელეგაციაში შედიოდნენ: გაეროს ხელმძღვანელი საქართველოში ნილს სკოტი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHGR) წარმომადგენელი საქართველოში სიმონე ვოლკენი. მათთან ერთად იმყოფებოდნენ სამეგრელოსა და სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ფერმერთა საკონსულტაციო, ანუ ექსტენციის ცენტრი ინფორმაციითა და ტრენინგით ემსახურება ადგილობრივ ფერმერებს. ინოვაციური სათბურები კი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სადემონსტრაციო პროექტია, რომელიც შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება.

მიზნესმენთა ჯგუფი სენაკში

10-11 ივნისს სენაკის მუნიციპალიტეტს სინძიანის მეორე კორპორაციის წარმომადგენელ ბიზნესმენთა ჯგუფი ეწვია. მან დაათვალიერეს გეგუეთის, ნოსირის, ზემო-ჭალადიდის, უშაფათისა და მენჯის თემებში ჩაის პლანტაციები, მიწის ნაკვეთები, თერმული და ცხელი წყლების სათაო აუზები. ჩინელი მეწარმეები გეგმავენ ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე სრული ინფორმაციის მოპოვებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესწავლას ინვესტირების განხორციელების მიზნით. მათ მეგზურობას უწევდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს, გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის, სენაკის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი გია ხარგელია სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

ვულოცავთ!

არჩევანის თავისუფლება დემოკრატიის უპირველესი გამოვლინებაა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სმათა უმრავლესობით სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობად არჩეულ იქნა მაგონი გოჩა დგემუაძე.

ვულოცავთ მაგონ გოჩა დგემუაძეს ამ რთულ, მაგრამ საპასუხო თანამდებობაზე არჩევას. გვჯერა, რომ ის მაქსიმალურად იზრუნებს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და მოსახლეობის სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებაზე.

ასევე საკრებულოს წევრად არჩეულ ყველა დეპუტატს ვულოცავთ არჩევნებში გამარჯვებას. ვუსურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობას წარმომადგენლობით ორგანოში.

სენაკის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები

„ჩვენ სკოლაში მივდივართ"

10 ივნისს, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანოებით, საბავშვო და ბავა– ბაღების აღსაზრდელთა მონაწილეობით, კ.კ. ხორავას სახლების სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა საზეიმო ღონისძიება „ჩვენ სკოლაში მივდივართ". ჩვენი ქვეყნის ხვალინდელმა დღემ – თვალებხატული ბოგო–ბიჭებმა სცენაზე გააცოცხლეს საყვარელი ზღაპრების გმირები. ღონისძიებაში ტრადიციულად მონაწილე ბაღებთან ერთად წელს გაჩართულ საღამოზე მონაწილეობდნენ დებიუტანტი ბაღები: პირველი, ნოსირისა და ძველი სენაკის საბავშვო ბაღები. აღსაზრდელებმა პედაგოგებთან ერთად სახალისო და მრავალფეროვანი პროგრამა წარუდგინეს მაყურებელს.

საღამოს დასასრულს პედაგოგების მიერ შესრულებულ იქნა ყველა თაობისათვის საყვარელი სიმღერები.

გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური

„ქამი შეკრიმად ქვათა"–ქალაქის II საჯარო სკოლაში

სენაკის № 2 საჯარო სკოლამ წარმატებულად დამთავარა სასწავლო წელი. სკოლის დირექცია (დირექტორი ქეთევან გეგენავა), პედაგოგები მაქსიმალურად იღვწიან სწავლებაში ახალი ინოვაციების და პროექტების დასამკვიდრებლად. VIII კლასში ჩატარებულმა პროექტ-გაკვეთილმა გამოავლინა მოსწავლეთა ღრმა ცოდნა, დამოუკიდებელი აზროვნება, სიყვარული ერისადმი და ენისადმი. პროექტს ლაღმოტივად გასდევდა ეროვნული სულის კვეთება.

გამოცდილმა, კვალიფიციურმა პედაგოგმა ქალბატონმა ლუარა ჯიქიამ დამსწრე საზოგადოებას, რესურსცენტრის და მედიის წარმომადგენლებს, სკოლების პედაგოგებს სხვათაგან „განსხვავებული" გაკვეთილი უჩვენა. ქალბატონ ლუარას ვუსურვებთ წარმატებას და მკითხველს ვთავაზობთ თავად პროექტის ავტორების თვალთახედვით შეფასებული გაკვეთილს.

დუბოდა ვარდობისთვის 26-დღე ქართველთა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა!

ორ ქვეყანაში მზადდებოდა ორი პროექტი ქართველთა ღირსების დღის წარმოსახვნად(ხელმძღვანელები –ლია და ლუარა ჯიქიები).

ორ ქვეყანაში: ინგლისსა და საქართველოში, სენაკში, ადამიანთა გული და გონება გამალებით იმეორებდა შათთვის სანუკვარ სიტყვებს: ჩვენები, ჩვენთვის დამაშვრალნი, ჩვენი თანაფფსეგები, ეშიგრანტები, ოკუპირებული აფხაზეთი, ოკუპირებული სამხანმლო, ეგენები, ქართული გენი და აზროვნება ქართულეწყარო სიბრძნისა, წინაპართა საფლავები, საქართველოს მზე და მთვარე, საქართველოს ცა და... მიწა, და: „საქართველოო –ლამაზო" და: „სხვა საქართველო ხად არი?" და: „შენ –აკვნის პიმნო, ცოცმელო სამარის" და: „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ" და (ილიასებრ) „როდემდის უნდა ვიტარო ეგ ტკივილი გულით? ჩემი საკვარელო მიწა-წყალო, გამეც ამისი პასუხი!" და ისევ: „სადამი შშვიდობისა ბატონებო! მშვიდობაოცნება ქართველთა, რადგანაც

„საწნახელში ბიჭი იდგა / ვადას ჩაფრენილი ხმლისას,/აკვნიდან რომ არ ენახა / მშვიდად დადამება დღისა!" და კიდევ: „ოსტატო, ბერო, მხედარო!.."

სიტყვები ეგენი წარმართავდნენ ნაპრის მიღმა და გამოღმა, როგორც დიდი ილი ბრძანებდა დარჩენილ ქართველთა. მართალია, ვერ მოხერხდა ტელეფალოგი „ხიდის გასადგად", ერთმანეთის დასაიმედებლად, მაგრამ ეგზამს, ტყეულად არ ნაუყლია ცდას ამ პროექტთა შერწყმისა. ორივე მხარე თავისი ქმედების მწყურვალად მიინნევდა ტელემსჯელობას თანაფფსეგებთან(როგორც ფერეიდნელი ქართველები იტყვიან ხოლმე),მაგრამ ორივეს ამთლიანებდა აზრი უფლისეული შინ დაბრუნებისა,ოკუპაციისაგან გათავისუფლებისა და სამშობლოს აღშენებისა, ამდენად, ეგონებ, შედეგ არა მიზიერი თანამყოფობა,არამედ სულიერი გამთლიანება ხიდს ეადმა და ამ ფიდმა მოფიქრალ-მოაზროვნე ქართველებისა: ბრძანდებოდნენ ინგლისის ეაერთიანებული სამეფოს I ქართულ სკოლაში მოწყვეული ქართველი მოქალაქეები, ელნით დაწყებული, საზოგადოებათა წარმომადგენლები, საპატიო სასულიერო მოღვაწენი და მოსწავლეებიშალიები ქართველთა, რომელნიც ინგლისურ ენაზე აზროვნებდნენ, რადგანაც მათი ფორმირება ხდება საშშობლოსაგან მოწყვეტით.

ამ, ეგოიმალურ საკითხთა გადასაწყვეტად შეეკრბენით მოსწავლეთა პარლამენტი, რომელსაც უნდა განეხილი ერის საარსებო ეს ორი საკითხი, რაც საბოლოოდ, მაინც, ერთ საკითხად მოიაზრება.

მოსწავლეთა პარლამენტში მსჯელობდნენ VII-XII კლასელები ხხვადასხვა სკოლიდან, პრობლემას სამი ახსნა მოეხსნა: ერონი მოითხოვდნენ ოკუპაციისაგან განთავისუფლებას, შემდგომ –ეშიგრანტთა დაბრუნებას, მეორენი საწინააღმდეგოდ ფიქრობდნენ, მესამენი ორივე აზრს არგუმენტირებას სთხოვდნენ. „ხაამი იყო საცაქერლად"(ვაჟა) თუ როგორ ფეოქავდა მოკამათე თუ მსმენელ-განმსჯელთა გულები, როგორ იძაბებოდა გონება მათი, როგორ ეძიებდნენ გამოსავალს საუკეთესოს მეტად რთულ სახელმწიფოებრივ-ეროვნული მდგომარეობიდან. მოიშველიეს ლაზთი, ფერეიდანი, საინგილო, ნიკოფსია, აფხაზეთი, სამაჩაბლო, მთელი ისტორიული წიაღსელა ქართველთა და „და-აწმეო ქვეყნისა- ეფრო,კავშირი, ნატო, ეროვნული ტრადიციები, იდეა თავისუფლებისა და „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო".

პარლამენტის „კითხვა-რუდუნება", ამჯერად -სულიერი, შეაჯერა მესამე აზრმა, რომელმაც მიიწნია, რომ პარლამენტში აუცილებლად უნდა უყაროს კენჭი მსოფლიოში გაფანტულ საქართველოს მოქალქეთა დაბრუნებას, თუნდაც ისეთი მძიმე იყოს ის სოციალური ყოფა როგორითაც ვცხოვრობთ,რადგანაც სამშობლოში დაბრუნებული ქართველები სამშობლოში მყოფ ხალხთან ერთად უფრო ადვილად, ცივილურად დაიბრუნებენ ოკუპირებულ ტერიტორიებს, რადგანაც დაბრუნებული შვილები ქვეყნისა დაუშურველად გამოიყენებენ თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას და, თანაც ,თვითონვე, ჩვენთან ერთობით ააშენებენ ქვეყანას.

„პარლამენტის" აზრი უკვე არ იყოფოდა: მესამე აზრი აღმონნდა „ოქროს კვეთ"

და ჩვენ, ერთობით მსოფლიოში გადახვეწილი ჩვენს თანაფფსეგებთან, ავაშენებთ, აღვადგენთ და დავამშვენებთ ჩვენს სამშობლოს, ვითარცა ერი ისრაელისა შეაერიბა თავის მიწაზე"-თქვა პროექტის ხელმძღვანელმა.

„თქვენ მოგმართავთ, ჩვენი თანაფფსეგებო, თქვენ აუცილებლად დაბრუნდებით, ჩვენ აუცილებლად გავმთლიანდებით!-ახე სწამს XXI საუკუნის მოსწავლეთა პარლამენტს.

„თქვენ მოგმართავთ ქ. სენაკის ხაზოგადოების ყველა თაობა: „ჩვენ მოვეს‍ლწრებით თქვენს დაბრუნებას დაბრუნებას, აუცილებლად, აუცილებლად!"

პროექტის ხელმძღვანელები ლია და ლუარა ჯიქიები

ცოდნის გზაზე

თითქოს გუშინ იყო,პირველ კლასში მოსულები დედის კალათს ეჩდაუჭეგოდნენ; ხარის ჭრიალს რიდით ისმენდნენ. კარს მიღმა დარჩენილი მშობლებისკენ ქმოდაო გულისყური; შემდგე დაადგნეს ცოდნის ტაძრისკენ მიმაყალ გზას ტატიანა მასწავლებელთან ერთად შრომასა და სწავლაში ჩამოიმარცვალა 4 წელიწადი.

სენაკის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელმა ტატიანა მიღლორაკემ მაღალი პროფესიონალიზმით, მოსწავლეების სულში ჭვდომით, მეთოდური დასვენილობით მოსწავლეები აზიარა ცოდნის დიდ და ამაღლებულ მადლს. სკრთოფიციერებული. ,კვალიფიციური პედაგოგი სვეტემბერში ახალ კლასს მიიღებს. კვლავ ჩვეული სიდინჯით ჩამოიღლის მერხვეს და თავიდან დაიწყება აი,ია...

გვსურს წარმატებები და დდეგრძელობა ვუსურვოთ დაწყებითი კლასის მასწავლებელს.

მ.ეჯიბაია,
თ.გრიგორლია
მშობლები

„ჩემი მასწავლებელი ვაჟა აზარაშვილი

20 მაისს ჩვენს ქალაქს „სენაკის ფეხტბალი- 2014-ის" ფარგლებში ეხტუმრა კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი. მას უზომოდ უყვარს სენაკი. მრავალი მოგონებები მაკავშირებს სახეალვინ და ყველასათვის საყვარელ კომპოზიტორთან. ამავე დროს იყო მისი მოსწავლე-დედი პატივია ჩემთვის. მახსოვს მისი ლექციები,განუმეორებელი იუმორი, სითბო, შეხვედრები თბილისში, სენაკში.

20 მაისს ჩემი კლასის მოსწავლეების სახელით მოვიწვიე ბატონი ვაჟა სამუსიკო სკოლაში. სალახო ოთახში გაიმართა დაუვიწყარი შეხვედრა. ვაჟა აზარაშვილმა სანუკრად გადმოცა დისკი-ფილმი კომპოზიტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ჩვენ კი, ჩვენი შემოქმედებით ვუპასუხეთ.საფორტეპიანო ნაწარმოებები შეასრულეს მარიამ გოგიამ, მარიამ ზარანდიამ, ანა და ალექსანდრე ჩიქოვნებმა, თეკლა შეროზიამ. საკუთარი ლექსი წაიკითხა მარიამ ზაქარიაამ. კურსდამთავრებულმა მარიამ შეროზიამ პედაგოგ მარინა ბერიშვილთან ერთად შეასრულა ვაჟა აზარაშვილის „სენტიმენტალური ტანგო". ამ ნაწარმოების ნოტები პირადად კომპოზიტორმა 2005 წელს გადმომცა ჩემთვის ძალიან ძვირფასი წარწერით.

მოსწავლეების სახელით ჩემს საამაყო პედაგოგს გადაეცეცი სანუკრად წიგნი ჩვენი ქალაქის შესახებ. პოეტმა ლანდა ბლიაძემ ,ეროვნულ კომპოზიტორს მიუძღვნა ლექსი.

შეხვედრის დასასრულს ვაჟა აზარაშვილმა ჩვენთვის, ჩვენს საკლასო ოთახში შეგვისრულა ორი სიმღერა: „პატარა გოგონა" და „ზე ჩემი მეგობარია", დალოცა პატარები,გამოხატა დიდი პატივისცემა და თანადგომა. სადამოს კი აკაკი ხორავას სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ შეხვედრაზე გულთბილად ილაპარაკა ჩვენი შეხვედრის შესახებ.

ლია ჯოჯალავა,
მუსიკათმცოდნე

,,ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე''

უნეველი ერიანული და ფუსფუსი იყო 6 ივნისს სენაკის №3 საჯარო სკოლის (დირექტორი მაკა ნანეიშვილი) ლამაზად მორთულ საკონცერტო დარბაზში. IV-ა კლასის(დამრიგებელი ნაირა პირტახია) მოსწავლეები მასწავლებელთან გამოსამშვიდობლად ემზადებოდნენ. ღელავდა ყველა. მასწავლებლები, მშობლები, ღელავდნენ იმის გამო,რომ თავიანთი გამოზრდილი პატარები დაფრთიანდნენ.ღელავდნენ იმის გამოც თუ როგორი იქნებოდა ღონისძიება. მაგრამ ყველაფერი ჩაცხრა,როგორც კი ცეკვიალა გოგო-ბიჭები სცენაზე გამწკრივდნენ. მოსწავლეებმა 4 წლის განმავლობაში დაგროვილი ცოდნა შეაჯამეს და მოსულ სტუმრებს წარმოუდგინეს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე". სანტეგრესოდ იყო შერჩეული რეპერტუარი, ერთმანეთს ეცლიდა ლექსი, სიმღერა,ცეკვა. ყველაფერს ეტყობოდა მკაცრი,მომთხოვნი,მაგრამ სამართლიანი და კეთილი ნაირა მასწავლებლის მრრუნველი ხელი. ღონისძიებას სასიამოვნო ელფერი შესძინა იმ პატარების გამოჩენამ, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან №3 საჯარო სკოლაში ისწავლიან. მათ მეოთხეკლასელებთან ერთად იმღერეს,ზეიკითხეს ლექსები და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს.

სკოლის დირექტორმა მაკა ნანეშვილმა და დაწყებითი კლასის პედაგოგმა მაია არჩაიამ მომავლის გზა დაულოცეს პატარებს.

დასასრულს ნაირა მასწავლებელმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც წელილი შეიტანა ღონისძიების მომზადებაში. თავის აღზრდილებს კი უსურვა წინსვლა და წარმატებები სიახლეებით, სირთულეებით აღსავსე დიდი ცოდნის გზაზე.

მ. გერგაია

მიმაძღეთ ილონას

ილონა ცინარიძე თუ აქამდე მშობლებისა და ახლობლებისთვის იყო საყვარელი და სანატრელი შვილი,ახლა იგი სენაკის(და არა მხოლოდ სენაკის) მასშტაბით ცნობილი და გამორჩეული მოსწავლე გახდა. რატომ? გეტყვით.

მიმდინარე წელს სრულიად საქართველოს მასშტაბით ელიტარული სკოლის მოსამზადებელი ცენტრის მიერ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურში და ზოგად უნარებში ჩატარდა ოლიმპიადა სახელწოდებით „ლიდერი". მასში მონაწილეობდნენ მოსწავლეები დაწყებული მესამე კლასიდან დამთავრებული მეთორმეტე კლასით.

აღნიშნულ ოლიმპიადაში სენაკის სკოლებიდან № 3 საჯარო სკოლის (დირექტორი მაკა ნანეიშვილი) III ბ კლასის (მასწავლებელი ნათია ზურღუღია) მოსწავლემ ილონა ცინარიძემ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია. ილონა მესამეკლასელთა შორის ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზემოაღნიშნული ცენტრის მიერ გამოირჩა და რეპუბლიკის მასშტაბით გახდა გამარჯვებული. დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში(ქუთაისი). მას ფულადი სახით 500 ლარი ეჯილდოდ, რომელიც ილონას გადასცა სენაკის მაჟორიტარმა დავუბატმა გურამ მისაბიშვილმა.

აღნიშნული ფაქტი თავისთავად მნიშვნელოვანია ილონასთვის, მაგრამ არანაკლებ სასიხარულოა სკოლისთვის, აღმზრდელი მასწავლებლისთვის.

ქალბატონი ნათია ახალგაზრდა, ენერგიული პედაგოგია და მთელ თავის ძალას, ცოდნასა და გამოცდილებას მოსწავლეებს ანმარს. უშრომელად იხარჯება მათთან, ამიტომაც უყვართ მოსწავლეებს, აფასებენ მშობლები. ჩვენც წარმატებას ვუსურვებთ ახალგაზრდა მასწავლებელს, ხოლო ილონას ნათელ მომავალს და ახალ-ახალ გამარჯვებებს.

ნათია მურღულია: *რადგანაც ყველა აღსაზრდელში ღვეს ნიჭიერების მარცვალი, ვცდილობ ჩემს მოსწავლეებში ეს მარცვალი დროულად გავაღვიძო. უნარ-ჩვევები გამოვუმუშავო. ჩავახედო ცხოვრების ავან-ჩავანში. მწამს თითოეული მათგანის. ღღეს ილონამ გამოაკლინა თავისი შესაძლებლობა, ხვალ მეორე გაიმარჯვებს, ზეგ მესამე და ა.შ. აღსაზრდელებს სწორი მიმართულებით თუ წავიყვანთ, ისინი აუცილებლად გვასახელებენ, აუცილებლად დაიპყრობენ მწვერვალს. ილონა ჰერსექტიული გოგონაა და თუ ასე გააგრძელებს, გარანტირებული ეჭნება კარგი მომავალი.*

ილონას თანატოლებო! ცოდნა ფასდაუდებელი საუნჯეა, **ამიტომ ბევრი ისწავლეთ, იკითხეთ წიგნები, ნუ შეუშინდებით დაბრკოლებებს და თქვენც აუცილებლად გაიმარჯვებთ, მიბაძეთ ილონას.**

ნინო სართანია

ღვთის სიყვარულში აღსრულებული მოძღვარი

„საყვარელნო, ვიყვარებოდეთ ურთიერთასს რამეთუ სიყვარული ღვთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყვარდეს ღვთისაგან მობილ არს და იცის ღმერთი"...პრძანებს წმინდა იოანე ღვთისმეტყველი. ადამიანები ვალი ერთმანეთს ბრუნვა და სიყვარული...

მნდა დიდი სიყვარულით გავიხსენო არქიმანდრიტი იოანე (ანანიაშვილი), რომელიც მაშინდელი ცილისწამების მსხვერპლი გახდა. საბოქლაქო ომის დროს, როდესაც სენაკი იბომბებოდა ბავშვებიანად მასთან ვიფარებდით თავს. მამა იოანე სითბოს და სიყვარულს ამჟღავნებდა ყოველი ქრისტიანის მიმართ. მინდა დიდი მოკრძალებით მოგიხსენოთ. თქვენი ახლობლები მეუფე იოანეთი მოგიხსენებდნენ, ჩემთვისაც კვლავ მეუფე იოანედ რჩებით.

გახსოვთ მოხუცი ლიდია, რომელსაც თავშესაფარი მიეცით, ინახავდით როგორც დედას, მკურნალობდით. თქვენთან ზშირად სტუმრობდა მამა გაბრიელი, ამჟამად წმინდანი. იგი ღრმად იყო თქვენს ღირსებაში დარწმუნებული, როდესაც გამბობრანდებოდით ტაძარში ხალხს შეხანებდა „დაინოქეთ, კომუნისტებისგან წამებული მეუფე იოანე მოდისო". თქვენ ცილი დაგწამეს, ამით მოყალი მრეული და სასულიერო პირები შეწუხებული იყვნენ. ძალიან წუხდა ჩვენი სულიერი მოძღვარი მამა ზურაბი.

ერთხელ, ჩემს მეუღლეს, პროფესიით ფოტოჟურნალისტს, ვთხოვე თქვენთვის სურათი გადაეღო, მან გადაეღოთ სურათი, სადაც ბუძლზე და მთლიანად თავზე ნათელი გადგათ, ამ სურათს ახლაც სათუთად ვინახავ. გამახსენდა ჩემი სულიერი დის მოგონება, თქვენი გარდაცვალების დროს, სამთაროს ფერისცვალების ტაძარში იყავით დასენეტული, ღამეს ფსალმუნის კითხვით მორწმუნეთა ჯგუფი ბეთელდათ, შუადამეს გალობის ხმა გაეგონოთო, ერთს რომ გაეგონა მარტო, იფიქრებდა ხიდლი ბი ვარო, მაგრამ ყველამ გაიგონა და ჩურჩულით კითხეს ერთმანეთს „კაიფოსეო-ო ხდებაო..."

ჩემს ეოფოსას მარიამს როგორ უყვარდით, თქვენი გარდაცვალება რომ გაიგო ბავშვი იყო და სულ ტიროდა,ერთხელ სიზმარში უნახიხარო და გითქვამთ: „ნუ სტირი მარიამ,მე ცოცხალი ვარო..." თქვენ მართლაც ცოცხალი ხართ ჩვენს გულებში.

რამდენი ოცნება გაქონდათ, ეკოფფერი შეგისრულდათ, მახსოვს როგორ მითხარით „სხვა რამეზე შემიძლია მუშაობა, მაგრამ რანაირად, როცა მე ქრისტე მიყვარს და მის გზაზე ვდგავარო..." ნეტავი რომელიმე სოფლის ეკლესიაში მაინც მოძღვრად მამყოფაო...

ბევრი ტანჯვა გაიარეთ, სამოქალაქო ომის დროს ზმდრიონელები დაგეხსნენ თავს, მარტო იყავით, თავდასხმის დროს ფეხი დაგიხანდათ, საავადმყოფოში გადაგიყვანეს, მოგვინახეთ კი ძალიან ცუდად გახდით, მოდიოდნენ მაცხელები, გრძნობდნენ რადაც საშინელს, აუტანელს, თქვენი აღსასრულის მოახლეებას... ცრემლიანი თვალებით ეთხოვებოდი ყველას,ლოცავდით,ერთხელ ისეთ დროს მოვედი ძალიან ძალიან ზნეგა ეკოხდათ, მოხვევრად ვიმღეროთო მთხოვეთ- მე შეგისრულე თხოვნა და თქვენც ამაყოლეთ ხმა, „ხეკისბერი გინდაან" „კარკეული წამაიყვანეს- ნავამთავრეთ სიმღერა, თურმე რა მწუხარება და ტკივილი იმალებოდა თქვენს ხმაში.

მახსენდება თქვენი საუბარი და ლოცვა-კურთხევა გაზეთ „ალდგომიდან" თქვენი მოყვასისადმი: „ეგმალობთ ყველას, ვინც საჭიროდ მიიჩნიეთ მოგაბმინათ ჩემთვის და ამით მეც მომეცით საშუალება შეგწყალდი ჩემს მოყვასთ ჩემი განმარტებით და რჩევებით, რაზედაც მომავალშიც არ დაგზარდებთ ჩვენს ნაყვარელ საქართველოს ეკი. ჩვენს ქართველ ხალხს და საქართველოში მკვიდრთ ასევე არაქართველ ძოსახლეობას,კეალვ და კეალვ ვუსურვებ შეიცნონ ჭეშმარიტება..." ...ხოლო ყოველთა თანა კი იქონინონ ხორცეალეზე ამალლებული სიყვარული, რომელ სიყვარულზეც გვასწავლის წმ. მოციქული პაეელ, რომ სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ, სიყვარულსა არ ჰშურნ, სიყვარული არა ამალლნ, არა განლაღდის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებენ თავისასა, არა გაბრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტ, არა უხარნ სიცრუესა ხედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა, ყოველსა თავს-იდებენ,ყოველი ჰწყამნ,ყოველსა ესავნ,ყოველსა მოითმენნ,სიყვარული არასადა დავარდების(I კორ 13, 4-8)

მართლაც ასეთი წმინდა და ამაღლებული სიყვარულით იყავით გამსჭვალული თქვენი მოყვასისადმი, თქვენ, ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შეასრულეთ ღვთის უდიდესი მცნება: ღმერთისა და მოყვასის სიყვარული.

ტაძარში, რომ ამოვდივარ, თქვენი სახასლისაკენ ვიყურება, დგას ობლად, ვეღარ გამოგვეგებები, სათნო ღიმილით, კეთილი, მოსიყვარულე, სტუმართმოყვარე ჩვენი საყვარელი მეუფე. ვიტოვებ იმედს, რომ ცხოვრებაში დაბანაული ზეციურ სასუფეველში ხართ მიღებული.

ვგრძნობ,იქიდანაც არ გვივიწყებ,ბევლოცავთ და ბევყურებთ და ავედრებთ ღმერთს ჩვენს თავს, სრულიად საქართველოს, მის კეთილდღეობას. და გადარჩენას... თქვენ მარად ცოცხალი რჩებით ჩემს გულში...

ლაურა ქოჯური

ოცნება მომავალზე

ანა თოდუა დაიბადა 1999 წლის 29 აგვისტოს, ცხოვრების ზემო ჭალადიდში, არის IX კლასის მოსწავლე.

ანი IV კლასიდან წერს ლექსებს და მოთხრობებს.

ჰყავს სამი და რომლებიც დედ-მამასთან ერთად ამაყობენ მისით.

არის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხშირი სტუმარი. მას დახმარებას უწევს მოსავლე-ახალგაზრდობის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი ქეთინო ბესელია, რომელიც მისი მრჩეველი, ლექსების შემფასებელი და გზის გამკვალავია. გთავაზობთ ანას რამდენიმე ლექსს.

ლამაზი დილაა

ლამაზი დილაა მშვიდი.
ვარ ჩემი ცხოვრების ბედი...
გადავიარე სიცოცხლის ხიდი.
მივალ, მივყვები გზას,
მაგრამ არ ვიცი სად...
ცხოვრებას ავუწყვე რიმები,
ლამაზი დილაა, ოცნებით ვიღლები,
ციდან ჩამოცვივდა თეთრი ფიფქები...
არ ვიცი სიმართლეა თუ ფანტაზია,
მგონი ეს სიცოცხლე დიდი ზღაპარია.
ცხოვრებას ავუწყვე რიმები,
ლამაზი დილაა, ოცნებით ვიღლები,
ჩემი ოცნება არც ერთი არ ამხდენია,
მაინც ვოცნებობ სხვა რა დამრჩენი,
უფალო მადლობა ყოველი დღისათვის.
ყველა, მიზნისთვის იბრძვის.
ლამაზი დილაა მშვიდი,
ვარ ჩემი ცხოვრების ბედი...
გადავიარე სიცოცხლის ხიდი.

მომავალზე იფიქრე

მოგონებები ნელ-ნელა ქრება...
მომავალზე ოცნება ყოველთვის რჩება.
იმღერე მაშინაც,როცა არ გემღერება.
მივყვეთ დინებას... ცხოვრება არ ერდება.
წარსული დაივიწყე... მომავალზე იფიქრე,
ცუდი რაც იყო, უბრალოდ დაივიწყე.
ცას ახედე და ნაზად გაიღიმე...
ცხოვრება გრძელდება, ესეც გაიფიქრე,
წარსული... მოგონება...ტკივილი...
დაივიწყე! სახეზე დაიხატე ღიმილი...

პოეტი

პოეტი არასდროს ფიქრობს,
ის ლექსით გამოხატავს სიბრძოს,
პოეტი ყველა გრძნობას გითმობს,
ყველა ხოტს ერთდ იცნობს.
გაეხნულ გულს ლექსით გითბობს.
სვედიან ცხოვრებას ლამაზი
სიტყვებით გირთობს
სიტყვა უთქმელად, თვალში
ჩახედვი გიცნობს.
დახეტიალობს, მუხას ეძებს,
თავს ლექსი ირთობს.
ცხოვრება უხარია,
ყველაფერში ხედავს ნათელს.
უაზროდ არასდროს დაადნობს სანთელს.
პოეტი ყოველთვის ლექსით ამბობს სათქმელს.

ლერი ჯალაღონია



– მოლიერის „პრანჭია ქალბატონები", სანტა – ფიგერეიდოს „მელი და ყურძენი" (ეზოპე), ნიკალა –კოროსტილევის „მარტოობის დღესასწაული" (ფიროსმანი), ქანალ-ხოჯა –გ.ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო",ისიდორე – ნ. დუმბაძის „თეორი ბაიორაღები", როდიონი – არბუზოვის „ძველმოდური ოთმედია",ჯურგენი- ვაჟა-ფშაველას „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი", მაიორი ჩხარტიშვილი – ნ. დუმბაძის „ხუ გეშინია დედა", ალექსანდრე ჩაჩა – გ. ბათიაშვილის „მე გეშინ გარდავიცვალე" და სხვა.

ღირსეული მსახიობი 2001 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვეს, მაგრამ მისთვის ყველაზე მაღალი ჯილდო თეატრალური საზოგადოების დაფასება და ხალხის ის დიდი სიყვარულია,რომელსაც იგი ყოველთვის გრძნობდა.

ბატონო ლერი! - თქვენს მიერ თქვენსავე იუბილეზე წარმოთქმული სტრიქონები: „სცენაზე ვდგევარ, ლექსს კეთხულობ, დარბაზი სავსე, თქვენს სიკეთეს ვერძნობ, ვით ვარსკვლავი მთვარიან ცაზე, თუ მიცხოვრია, მიცხოვრია მე მხოლოდ თქვენთვის"... სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. ბედნიერია ის, ვინც გარდაიცვლება! ვაი, მას. ვინც კვდება. თქვენ გარდაიცვალეთ.

შესანიშნავი მსახიობი, ჭეშმარიტი ხელოვანი, უდიდესი პატრიოტი, კეთილი გულისა და ლამაზი სულის ადამიანი, ასეთად დარჩებით თქვენ, ჩვენს მეხსიერებაში.

იძინეთ მშვიდად,ჩვენო დიდო ტიტილო, უფალმა დაგიმკეიდროთ მარადიული სასუფეველი.

სენაკის აპაკი ხორავას სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრი

ხსოვნა

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ნიჭიერი მსახიობი,სცენის ოსტატი,დიდებული ხელოვანი,ჭეშმარიტი სენაკელი ლერი ჯალაღონია. სენაკის თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში მისი ღვაწლი უზომოა. მან მის მიერ განსახიერებული როლებით წარუშლელი კვალი დატოვა და ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ბედს,მან საკუთარი ხელით შექმნა, თავისი განუმეორებელი, საინტერესო და ფასეული თეატრალური შემოქმედება.

ერთი წლის წინ მისი დაბადებიდან 70 და სასცენო მოღვაწეობის 55 წლის იუბილეე იზეიმეს სენაკელებმა. დასანანია, რომ სენაკის თეატრის წამყვანი მსახიობი ლერი ჯალაღონია ღღეს ჩვენს გვერდით აღარაა. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურებოდა თეატრალურ ხელოვნებას, გამორჩეული იყო თავისი ინდივიდუალობით, ადამიანის სულში ჩაღრმავების იშვიათი უნარით. ყველა მის გმირს ერთი უმთავრესი რამ აერთიანებდა, ჭეშმარიტების ძიება და ასეთი იყო თავადაც. მაყურებელს ყოველთვის ხიბლავდა მის მიერ მადალი ოსტატობით განსახიერებული როლები : - ბინდო -ა. ჩხაიძის „შოამომავლობა", კოკო – ოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება" ფერდინანდი-ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული", ტიტე –პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", ბარდღუ – კ. ბუაჩიძის „ „მკაცრი ქალიშვილები", სამეგრელოს მთავარი –შ. დიანის „ეგეგეკორი", მთავრობის მეთაური – ვ. კანდელაკის „დრო 24 –საათი",არილი –ი. ჭავჭავაძის „თთარაანთ ქვრივი", გორკიბერი – მოლიერის „პრანჭია ქალბატონები", სანტა – ფიგერეიდოს „მელი და ყურძენი" (ეზოპე), ნიკალა –კოროსტილევის „მარტოობის დღესასწაული" (ფიროსმანი), ქანალ-ხოჯა –გ.ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო",ისიდორე – ნ. დუმბაძის „თეორი ბაიორაღები", როდიონი – არბუზოვის „ძველმოდური ოთმედია",ჯურგენი- ვაჟა-ფშაველას „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი", მაიორი ჩხარტიშვილი – ნ. დუმბაძის „ხუ გეშინია დედა", ალექსანდრე ჩაჩა – გ. ბათიაშვილის „მე გეშინ გარდავიცვალე" და სხვა.

ღირსეული მსახიობი 2001 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვეს, მაგრამ მისთვის ყველაზე მაღალი ჯილდო თეატრალური საზოგადოების დაფასება და ხალხის ის დიდი სიყვარულია,რომელსაც იგი ყოველთვის გრძნობდა.

ბატონო ლერი! - თქვენს მიერ თქვენსავე იუბილეზე წარმოთქმული სტრიქონები: „სცენაზე ვდგევარ, ლექსს კეთხულობ, დარბაზი სავსე, თქვენს სიკეთეს ვერძნობ, ვით ვარსკვლავი მთვარიან ცაზე, თუ მიცხოვრია, მიცხოვრია მე მხოლოდ თქვენთვის"... სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. ბედნიერია ის, ვინც გარდაიცვლება! ვაი, მას. ვინც კვდება. თქვენ გარდაიცვალეთ.

შესანიშნავი მსახიობი, ჭეშმარიტი ხელოვანი, უდიდესი პატრიოტი, კეთილი გულისა და ლამაზი სულის ადამიანი, ასეთად დარჩებით თქვენ, ჩვენს მეხსიერებაში.

იძინეთ მშვიდად,ჩვენო დიდო ტიტილო, უფალმა დაგიმკეიდროთ მარადიული სასუფეველი.

სენაკის აპაკი ხორავას სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრი

მეტი ნანავა

კიდევ ერთი ღირსეული ქალბატონი დაიკლდა ჩვენს ქალაქს.

დასანანია წარსულში ისაუბრო თბილ, კეთილ, მოსიყვარულე ადამიანზე, რომელიც შენს გვერდით ცხოვრობდა და სიცოცხლეს გილამაზებდა.

მართლაც, ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობდით ქალბატონო მერი. ნუმი, წენარი, სიკეთით, იუმორის გრძნობითა და ადამიანების სიყვარულით აღსავსე –ასეთი დაბიჯებდით სენაკის ლამაზ ქუჩებში.

3 ათეული წელი მუშაობდით სენაკის № 1 ბაგა-ბაღში, მრავალი თაობა ადგიზრდიათ, დაგიფრთიანებიათ მერი მასწავლებელო. თქვენი აქ მოღვაწეობის ყოველი წელი შემიძლია თბილად და ტკბილად მოვიგონო. ძალიან გიყვარდათ პატარა აღსაზრდელებთან მუშაობა. მრავალი საინტერესო დონისძიების სულისჩამდგმელი იყავით, რაც კი ბაღში ტარდებოდა. მთელ პედაგოგიურ კოლექტივს ძალიან გვიყვარდით და მაშინ როდესაც სიცოცხლე ძალიან გინდოდათ,სწორედ მაშინ შეგეყარათ უკურნებელი სენი და სიკვდილმა დაგამარცხათ, მაგრამ თქვენ დამარცხებული მაინც არა ხართ, რადგან თქვენ, მართლაც, საოცრად კარგი შვილების და შვილიშვილების აღმზრდელი ბებია იყავით.

„ლამაზი შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადო"-სწორედ თქვენზეა ნათქვამი, რადგან სწორედ თქვენმა შვილებმა და რძლებმა,რომლებიც საოცრად თბილად და ტკბილად გესიყვარულებოდნენ, გაგიხანგრძლივეს ცხოვრება უკურნებელი სენისგან დადარდიანებულს...

შვილთაშვილსაც მოესწართ.

ძალიან დაგვაკლდები და მოგვენატრები ქალბატონო მერი. მსუბუქი იყოს თქვენთვის სენაკის მადლიანი მიწა, რომელსაც მიგაბარეს.

უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული.

თამრიკო გეგენავა,
№ 1 ბაგა-ბაღის გამგე

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს თეატრალური ხელოვნების ღვაწლმოსილი მუშაკის

ლერი ჯალაღონიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ჟიული შარტავასა და მისსიეე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანაშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკის

ლერი ჯალაღონიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

საზოგადოება „სენაკელის" გამგეობის წევრები იუწყებიან ძირძველი და ნაღდი სენაკელის

ლერი ჯალაღონიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკის

ლერი ჯალაღონიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაუგრძნობს დემურ მებონიას მეუღლის

ეთერ მანჯავიძე-მებონიას

გარდაცვალების გამო

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დემურ მებონიას მეუღლის

ეთერ მანჯავიძე-მებონიას

გარდაცვალების გამო

კეთილმოეწყო ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ტერიტორია

შპს სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ადმინისტრაცია და კოლექტივი მადლობას უცხადებს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობელს ბატონ გონა დგებუაძეს პოლიკლინიკის ტერიტორიის კეთილმოწყობის საქმეში გაწეული წვლილისათვის. კეთილდ გაკეთდა ტერიტორიის შოასფალტირება. რამდენი ათეული წლის მანძილზე რამდენი ხელისუფლება და რამდენი გამგეებელი შეიცვალა სენაკში, ყველა გვპირდებოდა და არცერთმა არ შეასრულა დანაპირები. ბატონი გონა მოვიდა ჩვენთან,დაათვალიერა ტერიტორია,მოისმინა ჩვენი პრობლემები,დაგვპირდა და გააკეთა. ე ხარის სიტყვა და საქმე სახელმწიფოს დონეზე. გვჯერა, რომ ბატონი გონა ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს მშობლიური სენაკისათვის.

შპს სენაკის
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური
გაერთიანების კოლექტივი

მკითხველი და მიმლოდოთეკა

სენაკის საჯარო ბიბლიოთეკა მკითხველთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, აქ შეხვდებით ყველა ასაკის წარმომადგენლებს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, პენსიონერებს, სტუდენტებს, დროებით გადაადგილებულ პირებს და სხვებს. ისინი სარგებლობენ ბიბლიოთეკის ფონდით, ჟურნალ-გაზეთებით და სხვა საინტერესო მასალებით, ერთი მათგანია ბიბლიოთეკის საინფორმაციო ჯგუფის წევრი,აქტიური მკითხველი, ქალბატონი ანალია,რომელმაც რამდენიმეჯერ გაიმარჯვა „რუსთავი-2"-ის ინტელექტუალურ ტელეგადაცემაში „რა,სად, როდის?"

მინდა მოგაწოდოთ ქალბატონ მიმოზას მიერ ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის გადმოცემული მადლობის წერილი(ტექსტი დაცულია).

ჩემო საყვარელო და ძვირფასო ქალბატონებო!
სენაკის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებო!
ქალბატონი ციური!

თქვენი ხელშეწყობით, თქვენი რჩევით, თქვენს მიერ მოწოდებული ლიტერატურის გამოყენებით მე ოთხჯერ მივაღწიე მოგებას „რუსთავი-2"-ის ინტელექტუალურ ტელეგადაცემაზე „რა,სად, როდის?". 2014 წლის 5 აპრილს ჩემს კითხვაზე კომპოზიტორ ეუზეკე ვერდის შესახებ, მე გადმომეცა 500 ლარი, ხოლო საერთაშორისო გეოგრაფიული ორგანიზაციის,საქართველოს განყოფილების ჟურნალ „ ატიონალ გეოგრაპჰიც"-საქართველო"-ს მთავარმა რედაქტორმა ლევან ბუთხუზიმ ჩემი შეკითხვა საუკეთესოდ შეაფასა და გადმომცა ჟურნალის ორი წლის გამოცემა.

მე მადლობელი ვარ ბედის,რომ ძომეცა საშუალება თუნდაც,მცირედი,გავაკეთო ჩემი და თქვენი ბიბლიოთეკისთვის. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან დასახელებული ჟურნალის კომპლექტი. იმედი მაქვს, რომ ამ ჟურნალით ბევრი აქტიური მკითხველი ისარგებლებს, გაიცნობს უამრავ სიახლეს ჩვენი პლანეტის შესახებ და დარჩებიან კმაყოფილნი.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები ქალბატონ მიმოზას ულოცავენ გამარჯვებას, უსურვებენ ჯანის სიმრთელეს და მომავალში წარმატებებს.

ე. ხორავა
საჯარო ბიბლიოთეკის უფროსი სპეციალისტი

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მეჯა ბალაშოვია
მენეჯერი ოხოლდა ნვამანია
კორესპონდენტი მაია ბერძენია
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ნაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33